



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	მარნეულის „არმაზი“ - სამცხე ჯავახეთის „ტაო“		
გუნდი	სამცხე ჯავახეთის „ტაო“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	30/10/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზისუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	სოსო კილაძე		
მომჩივანი		საჩივარი	✓ აღიარებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - ქცევის კოდექსი/არამართებული ქცევა	წითელი ბარათი	საითინგი სხვა ✓
		თუ „სხვა“ აღწერეთ :	დარღვევის ამსახველი ვიდეომასალის განხილვა

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	03/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> (დისტანციური) <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები :	
		<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს მოთამაშემ, სოსო კილაძემ, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გაშველების მიზნით.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 30/10/2022 გაიმართა I ლიგის V ტურის მატჩი მარნეულის „არმაზი“-სა სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის. თამაშის მე-14 წუთზე წარმოქმნილი ფიზიკური დაპირისპირება, მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს შორის, გადაიზარდა გუნდურ ფიზიკურ დაპირისპირებაში რომელშიც ჩაერთვნენ ორივე გუნდის როგორც მინდორზე მყოფი ასევე სათადარიგო მოთამაშეები და სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები. წარმოქმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და თამაშის მონაწილე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო, მაჩის მსაჯმა, საბა მახარაძემ, კიდის მსაჯებთან ერთად მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
2. სოსო კილაძის სტატუსი, ზემოაღნიშნული ინციდენტის დროს, იყო სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს **სათადარიგო** მოთამაშე. მიუხედავად იმისა რომ, მსაჯის ნებართვის გარეშე მას არ ჰქონდა უფლება შესულიყო მოედნის სათამაშო ზონაში, იგი მაინც შევიდა მოედანზე და ჩაერთო ფიზიკურ დაპირისპირებაში.



სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობებისა და ვიდეომასალის განხილვის შემდეგ, სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს მოთმამის სოსო კილაძის ქმედება შეაფასა როგორც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის უხეში დარღვევა, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 2 და დანართი # 3-თ და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :

## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	8(რვა) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	07/11/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	სრკ-ს განრიგით, I ლიგის XIII ტურის შემდეგ.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	07/11/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.